ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

მუნიციპალიტეტი: ხარაგაული

ქვეყანა: საქართველო

წინამდებარე გეგმა მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ტექნიკური მხარდაჭერით.

ხარაგაული 2020

მერის მიმართვა

მუნიციპალური ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელის შემუშავება და განხორციელება ქვეყნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თავიანთი ფუნქციების მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის, ესაჭიროებათ ეფექტური სამოქმედო პროგრამა და მისი შესატყვისი

მექანიზმების ამოქმედება. მუნიციპალიტეტმა უნდა შეძლოს ისეთი მთავარი მიზნის მიღწევა, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხობრივი ამაღლება ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებით, ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებით, ადამიანური რესურსების პოტენციალის განვითარებით, ხარისხიანი სოციალური და საცხოვრებელი გარემოს შექმნით და აშ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს უაღრესად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მიეცა ჩართულიყო ევროკავშირის ინიციატივაში ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG). აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ექსპერტთა გამოცდილების გაზიარებით და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი განვითარების სამოქმედო გეგმა (LEDP), რომელიც მიზნად ისახავს სისტემური ცვლილებების მოხდენას ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობისათვის.

ჩვენთვის დიდი პატივი და ამავდროულად პასუხისმგებლობაა ევროკავშირთან თანამშრომლობა, რადგან ვაცნობიერებთ მმართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობას, რომლებიც უკვე წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მიგვაჩნია და გვეიმედება, რომ აღნიშნული გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების ერთ ერთი გარანტი იქნება.

სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში, ყველა ეტაპზე, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული ბიზნეს და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლები, რაც დოკუმენტს კიდევ უფრო ღირებულს და საპასუხისმგებლოს ხდის. შესაბამისად, მაქსიმალურ ძალისხმევას მოვახმართ სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების სრულყოფილად შესრულებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მოსახლეობის მიგრაცია (გარე და შიდა) და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების პოტენციალის ადგილობრივი განვითარებისთვის გამოყენება. შრომითი ემიგრანტებისა და დიასპორის ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ისე ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების ხელშესაწყობად. ამიტომაც წინამდებარე გეგმაში ეს საკითხებიც შეძლებისდაგვარად აისახა. მადლობას ვუხდი ყველა იმ დაინტერესებულ პირს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს რომლებიც ჩართულები იყვნენ გეგმის შემუშავების პროცესში. ასევე, მადლობას ვუხდი ევროკავშირის ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს გეგმის შემუშავების პროცესში გაწეული მხარდაჭერისათვის. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ჩემი სახელით გამოვთქვავ მზაობას, რომ ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)” კერძო და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელებთ სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებებს, რითაც შევქმნით ბიზნესისათვის ხელსაყრელ პირობებს, თანხების ინვესტირებით მოვახდენთ კვალიფიციური კადრების გადამზადებას, შევქმნით

ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას და განვახორციელებთ მარკეტინგულ ღონისძიებებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი
ნიკოლოზ თოფურიძე

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დანტერესებული პირთათვის. გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი: ჯაბა ბერაძე; თანამდებობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი; მისამართი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, 9 აპრილის ქ.#15; ტელეფონი: (+995 558 78 54 55) ელ-ფოსტა: kharagauli.gov.ge ვებ-გვერდი: http://kharagaulinews.gov.ge/

1. მოკლე შეჯამება

ხარაგაული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LED) შემუშავებულია ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ფარგლებში. იგი მიმართულია მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობების ზრდის, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისაკენ.
გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა ხარაგაული მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის სიღრმისეული კვლევა, რომელმაც გამოავლინა განვითარების ყველაზე დიდი შესაძლებლობების მქონე სამი სექტორი: ტურიზმი, ბუნებრივი წიაღისეული და სოფლის მეურნეობა. ასევე გამოვლინდა სუსტი მხარეებიც, როგორებიცაა: ფინანსებზე წვდომის სირთულე, დაბალკვალიფიციური ადამიანური რესურსი და უმუშევრობის მაღალი დონე. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მძიმე სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, დასახვეწი ინფრასტრუქტურა და სერვისები. შემუშავდა მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვა, რომელიც გულისხმობს კარგი მმართველობის, ახალი ინვესტიციების მოზიდვით, ინოვაციების, თანამედროვე

ტექნოლოგიების, განათლების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის შესაძლებლობების განვითარებით ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნას, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის დასაქმებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ხედვას წარმოადგენს ბიზნესის საქმიანობისათვის საუკეთესო გარემოს მოწყობა და დასაქმებაზე ორიენტირებული, სწრაფად მზარდი მდგრადი ეკონომიკის შექმნა. განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: ტურიზმის განვითარება; მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, სოფლის მეურნეობისა და სხვადასხვა წიაღისეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; მოსახლეობის დასაქმება და მეწარმეობის ხელშეწყობა. მიზნების მისაღწევად დაისახა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ცოდნის/კვალიფიკაციის ამაღლება და მუნიციპალიტეტის მარკეტინგული ღონისძიებების გამრავალფეროვნება. აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით გათვალისწინებულია ბიზნესისა და სექტორული წახალისების აქტივობები, ხარაგაულის პოპულარიზაციის გაზრდისათვის საერთაშორისო ფორუმებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

გეგმა მოიცავს საჭირო დაფინანსების წყაროებს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შეეცდება გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილის დაფინანსებას საკუთარი ბიუჯეტიდან თუმცაღა აუცილებელი იქნება მუშაობის გააქტიურება დაფინანსების გარე წყაროების(უცხოური თუ კერძო ინვესტიციები) მოსაძიებლად.

2.შინაარსი

მერის მიმართვა.....2

1. მოკლე შეჯამება 4
2. შინაარსი 5
3. ცხრილები, გრაფიკები, დანართები და აბრევიატურები 6
4. გეგმის შესავალი 7
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 9
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 11

   6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ……..12

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები …….18
6.3 ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია 20
6.4 ფინანსების ხელმისაწვდომობა 22
6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა 24
6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო 25
6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა …….25
6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი ……...27
7. მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი ……..28
8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები ……....30

3. ცხრილები, გრაფიკები, დანართები და აბრევიატურები

ცხრილი N1 საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით …….……12
ცხრილი N 2 - ბიზნესსექტორისძირითადიეკონომიკურიმაჩვენებლები (2019) ……18
ცხრილი N3. ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება ……...…20
ცხრილი N4. მზარდი სექტორები *(ქვესექტორები)* დამათი გამოწვევები ……21
ცხრილი *5.* ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ……...….23
ცხრილი N6. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში 25
ცხრილი N7. უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული მდგომარეობა ……...……...……..26
ცხრილი N8. სამოქმედო გეგმა ……...……...…...31
ცხრილი 9. დაფინანსების სქემა 33

ცხრილი N10. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა ……...……...……...…….35

3.1 გრაფიკები გრაფიკი N1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა …….9

გრაფიკი N2. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების

მიხედვით ……...11
გრაფიკი N3. სასოფლო სამეურნეო მიწების განაწილება კატეგორიების მიხედვით 15
გრაფიკი N4 . სახნავი მიწების გამოყენება 2018 წლის მდგომარეობით ……16

3.2 აბრევიატურები

M4EG -მერები ეკონომიკური ზრდისთვის
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება LEDP -
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ШМ -
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ა(ა)იპ -
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სსიპ -
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

4. გეგმის შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლის 25 მარტს შეურთდა ევროკავშირის ინიციატივას ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და გამოთქვა მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლონ ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოების თემებთან, ხელი შეუწყონ მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, განვითარებას და საუშაო ადგილების შექმნას.

ინიციატივაში ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ისე საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ადგილობრივი პარტნიორობის, დაინტერესებული მხარეების, მათ შორის განსაკუთრებით ეკონომიკური აქტიორების ჩართვის გზით, დაფუძნებული საჯარო-კერძო სექტორების დიალოგის პრინციპებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარაგაულის ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის. გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავდა სპეციალურად „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივისთვის, ეს არის ინიციატივის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების თანახმად, ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. დოკუმენტი ეხმიანება, თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 20192021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“. დოკუმენტი შემუშავებული იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, თანასწორობის პრინციპით ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების პარტნიორობით. გეგმის შემუშავების

პროცესში მოხდა დაინტერესბული პირების გამოვლენა და ჩართულობა. ჩატარდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სექტორების ფოკუს ჯგუფებთან. გეგმა შემუშავდა ადგილობრივი ხელისუფლების კერძო სექტორთან აქტიური დიალოგისა და მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. გეგმაში ასახულია ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი, SWOT ანალიზი, განვიტარების ხედვა და მიზნები. ხოლო მიზნების მსიაღწევად დასახულია ღონისძიებები რომელიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში. ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორცილების, მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით საზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან - თბილისადან დაშორებულია 198 კილომეტრით (2 სთ და 40 წუთის სავალი დროით) რკინიგზით 160 კილომეტრით (2 სთ და 20 წუთის სავალი დროით). იმერეთის რეგიონული ცენტრიდან, ქალაქ ქუთაისიდან დაშორებულია 63 კილომეტრით (1 სთ და 10 წუთის სავალი დროით) რკინიგზით 55 კილომეტრით (50 წუთის სავალი დროით). მუნიციპალიტეტის მდებარეობს ზღვის დონიდან 285 – 2,642 (საშუალოდ 420) მ. მუნიციპალიტეტში შედის 20 ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული. ტერიტორია მთააგორიანია. კლიმატი სუბტროპიკული. ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული შედარებისთ გრილი. მუნიციპალიტეტის ფართობია 91.3 (ათასი) ჰა. წლიური ნალექიანობა არის 1200-1800მმ. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ. კმ უჭირავს მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარო, ზღვის დონიდან 2642 მეტრი. გვხვდება თიხნარი, ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები, სუბალპური მდელოები. მუნიციპალიტეტის მდიდარია მდინარეებით, ტყის რესურსით, რომელსაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 68% უკავია. ტყეების ნაწილი შედის ბორჯომხარაგაულის ეროვნულ პარკში.

ხარაგაულის მუნიციაპლიტეტში დღეის მონაცემებით ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. 2019 წელს დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთი გზის რეაბილიტაცია რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მიმდებარე სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და უმოკლესი გზით დააკავშირებს მუნიციპალიტეტს საქართველოს დედაქალაქთან. ასევე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 54 სოფელში აშენდა ბეტონის გზა. 2020 წლის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. მუნიციპლიტეტის სოფლების უმრავლესობაში დაიწყება და შემდეგ წლებში დასრულდება საავტომობილო გზების კაპიტალური მოწყობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2018 წლის აღწერის მდგომარეობით შეადგენს 19.1 ათას ადამიანს. მოსახლეობის რიცხოვნება მამაკაცები. 48,4% და ქალები 51.6%. ქალაქად ცხოვრობს 24%, ხოლო 76% - სოფლად. შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 61%-ს. აქედან კაცი 53%-ია, ქალი - 47%. ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობა 1120 კაცი. 2014 წლის მონაცემებთან შედარებით მოსახლეობა 6.9-ითაა

შემცირებული, ხოლო 2008 წელთან შედარებით დაახლოებით 30 % -ით არის შემცირებული. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1120. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდეცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 43,9 წელს შეადგენს, აქედან მამაკაცის საშუალო ასაკი 41,5-ა, ხოლო ქალის 45,8.

გრაფიკი 1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები. მოსახლეობის რაოდენობა(სა. სტატისტ, ეროვნული სამსახურის მონაც.)



5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ სტანდარტების, მოწოდებული სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას მერის უშუალო ჩართულობით მოხდა ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციების გამართვა, ინიციატივის კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური აქტიორების ცალკეული სექტორებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

რეკომენდაციების შესაბამისად, გეგმის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვის მიზნით, ასევე შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე, განიხილავდა და შენიშვნებს გამოთქვამდა სამუშაო ჯგუფის მიერ დამუშავებულ მასალებზე. მუნიციპალიტეტის მერმა დანიშნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი

და ჩამოაყალიბა გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. ოფიცერი, სამუშაო ჯგუფი და მთლიანი პარტნიორობა მუდმივ კოორდინაციაში იყო ერთმანეთთან და ხდებოდა მიღწეული პროგრესის რეგულარული გაცნობა.პარტნიორობის წევრები არიან კერძო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები. პარტნიორობა დაკომპლექტებულია კერძო სექტორისა და ასოციაციის 9, ასევე მუნიციპალიტეტის 5 წარმომადგენლისაგან. პარტნიორობის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან. გადაწყვეტილებები მიიღებოდა კონსენსუსის გზით, უმრავლესობის მოსაზრების გათვალისწინებით. პარტნიორობა დაკომპლექტებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების წარმომადგენლებისაგან და ეკონომიკური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.

ჩატარდა შეხვედრები მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 გაფართოებული შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების, საჯარო სექტორის და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებსა და მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრებთან. შეხვედრების მიმდინარეობისას დამსწრე პირებს ეთხოვათ ანკეტური კითხვარების შევსება, კითხვარები შემუშავებული იქნა ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეხვედრების დროს შეგროვდა როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი.

გარდა წინასწარ დაგეგმილი და უშუალო შეხვედრებისა, მომზადდა კითხვარი, რომელიც მასობრივად გავრცელდება ბიზნეს წრეებში, სამოქალაქო საზოგადოებებში, სტუდენტახალგაზრდებში, გავრცელდა სოციალურ ქსელებში. ამ კითხვარით შევძელით სამოქალაქო აზრის, შეხედულებების, საჭიროებების, იდეებისა და სურვილების დადგენა, შესწავლა, ანალიზი და მოვახდინეთ LED გეგმის ფორმირებისას გათვალისწინება. გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას: ინფორმაციის მოძიებაანალიზი, მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა, მოსახლეობის გამოკითხვა ანკეტირების საშუალებით, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული ფორმა აღმოჩნდა მხარეთა შორის გამართული დიალოგი და ამ დიალოგის საფუძველზე მხარეთა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება. ერთობლიობაში განხორციელებული მთელი რიგი განხილვების დროს გამოიკვეთა არსებული პოტენციალის გამოყენებისა და გამოწვევების დაძლევის კონცეფცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, მთავარი მიზნები, პრიორიტეტები და მთავარი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უახლოესი ორი წლის განმავლობაში. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე გეგმის საბოლოო ვერსია შეიქმნა, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში მათ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

პარტნიორობის ფარგლებში მოწვეულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაში. შეხვედრების

საშუალო ინტენსივობა წარმოადგენდა 15 დღეში ერთ შეხვედრას. გეგმის შემუშავების პროცესში, ჯამში, ჩატარდა 10 შეხვედრა მოსახლეობასთან, კერძო და არასამთავრობო სექტორთან.

იყო გამოწვევები, თავიდან რთული აღმოჩნდა პარტნიორულ ურთიერთობებზე საუბარი, შეხვედრების ორგანიზებისას ბიზნეს სექტორის ნაწილი წარმომადგენლები კარჩაკეტილ პოზიციას იკავებდნენ. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია ბიზნეს სექტორიდან. პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. **ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის. ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 1 ივნისის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 590 რეგისტრირებული საწარმო. ზომის მიხედვით 1 მსხვილ, 5 საშუალო და 584 მცირე საწარმოდ კლასიფიცირდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ორი ემერჯენსის ტიპის ამბულატორია: დაბა ხარაგაულში 5 საწოლიანი და სოფელ ბორითში 7 საწოლიანი.ასევე, დაბაში მოქმედებს მრავალპროფილური, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 14 საწოლიანი საავადმყოფო. სადაც დასაქმებულია 26 ექიმი, 14 ექთანი, 2 ლაბორანტი, 7 სანიტარი. აქვთ თანამედროვე აღჭურვილობის ლაბორატორია, მუშაობს ექოსკოპიისა და რენტგენის კაბინეტები. სოფლებში განთავსებულია 14 საექიმო ამბულატორია, რომელთაგან ოთხი ორბრიგადიანია, სადაც დასაქმებულია 18 ექიმი და 19 ექთანი.

გრაფიკი N 2 მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების მიხედვით(საქ სტატის 2017 წლის და მუნიც. არსებული აგროსექტორის 2018 წლის მონაც)



2014 წელთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 47%-ითაა გაზრდილი. საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ბოლო 4 წლის განმავლობაში ამოქმედებულმა ბიზნეს ხელშემწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 225 მცირე ბიზნესი გადამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობა და

მომსახურების სფეროებში. ასევე აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი პროექტების განხორციელებაც.

ცხრილი1. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	ბიზნეს ერთეულების (კლასიფიკაციის მიხედვით		
	მცირე	საშუალო	მსხვილი
სამრეწველო საქმიანობა	30		
სოფლის მეურნეობა	99	1	
ვაჭრობა	217	1	
ბიზნეს სერვისები (ტრენინგი, კონსალტინგი, მარკეტინგული კვლევები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სარეკლამო მომსახურება, გამომცემლობა)	2		
სამედიცინო სერვისები	10	2	
საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები)	15		
რესტორნები, სარიტუალო დარბაზები კაფეები, ბარები და სხვა.	49	1	
სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა	29		1
მშენებლობა, მომპოვებელი მრეწველობა	25		
საკომუნიკაციო მომსახურება	4		

იჯარა			
ნარჩენების გადამუშავება	2		
კულტურული მემკვიდრეობა(ამ ეტაპზე არაკომერციულია	2		
სხვა	98		

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების კუთხით გარკვეული პოტენციალი გააჩნია. პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელშიც 7 მუნიციპალიტეტია გაერთიანებული და მათ შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ხარაგაულს უჭირავს.

მუნიციპალიტეტში განთავსებულია ტურისტული 1 ლაითბოქსი, სამთო-სათავგადასავლო ტურიზმისთვის მთის ზონაში გაკეთებულია მარკირება და საინფორმაციო მანიშნებლები, მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები.

გარდა საინტერესო ფლორა ფაუნისა აღსანიშნავია ეროვნულ პარკში 1900 მეტრზე აღმოჩენილი ,,ნაქალაქარი'', რომლის შესწავლაც დაიწყო 2016 წელს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების მიერ. ასევე პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს ე.წ. ,,რკინის ჯვარი'', სადაც ყოველწლიურად ასობით ტურისტი სტუმრობს. მიუხედავათ ტურისტული ბილიკების სიმრავლისა ხარაგაულის ტერიტორიიდან გაცილებით ნაკლები ტურისტი მოძრაობს, ვიდრე ბორჯომის მხრიდან, რაც გამოწვეულია ეროვნულ პარკამდე მისასვლელი გზის მოუწესრიგებლობით. თუმცა ამ მიმართულებით გადაიგდა ნაბიჯები, კერძოთ მოასფალტდა სოფ. მარელისამდე მისასვლელი 4 კილომეტრიანი გზა. 2019-2021წლებში იგეგმება ძირულა – ჩუმათელეთის გზის მოასფალტება, რომელიც გაზრდის ხარაგაულის მხრიდან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ტურისტების შემოდინებას.

უკვე ათეულობით წელია სრული დატვირთვით მუშაობს ბალნეოლოგიური კურორტი ,,სამთა ნუნისი'', რომელიც შედის ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში. სამკურნალო წყლით დაინტერესებული ადამიანების სიმრავლის პარალელურად სოფ. ნუნისში მოსახლეობამ თავიანთი საცხოვრებელი სახლები გადააკეთეს საოჯახო სასტუმროებად, სადაც, ძირითადად ზაფხულის განმავლობაში, ტურისტების ნაკადი არ წყდება. ნუნისიდან 3 კილომეტრში მდებარეობს ე.წ. ,,ბერების გამოქვაბული“ რომელიც ასევე საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი ბუნებრივი გამოქვაბულია. მათ შორის აღსანიშნავია დაბა ხარაგაულში მდებარე ე.წ. ,,დევის გამოქვაბული“, თუმცა შეასაბამისი ინფრასტრუქტურის არქონის გამო, ამ გამოქვაბულში ტურისტების სიმრავლე არ იგრძნობა.

ცენტრალურ მაგისტრალთან ახლოს, სოფ. უბისაში მდებარეობს მე-9 საუკუნის უბისის სამონასტრო კომლექსი, რომლის გვერდით 2016-2017 წლებში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოეწყო ტურისტული ინფარსტრუქტურა. დაბა ხარაგაულის შესასვლელში მდებარეობს ე.წ. ,,ცაშეკრულის კანიონი'', რომლის ირგვლივ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ შესაძლებელი იქნება ტურისტების მოზიდვა აღნიშნული კანიონის დასათვალიერებლად.

ტურისტული სეზონიდან გამომდინარე წლის განმავლობაში ხარაგაულში 10 000 ტურისტი ჩამოდის, მათგან 7 000 გამვლელი ტურისტია, რომლებიც ცენტრალური საავტომობილო ტრასით გადაადგილდებიან ზღვის ან თბილისის მიმართულებით და ჩერდებიან უბისის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად, კოზმანის სალოცავის მოსანახულებლად და სხვა. დანარჩენი 3 000 ტურისტი მოდის "ბორჯომ- ხარაგაულის ეროვნულ პარკში".

ხარაგაულში ფუნქციონირებს "ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი", სოფ. ღორეშაში "მემორიალური მუზეუმი". დაბა ხარაგაულშია სასტუმრო "უღელტეხილი", რომელსაც 30 ტურისტის მომსახურება შეუძლია, ასევე საოჯახო სასტუმროა სოფ. მარელისში, რომელიც ემსახურება ეროვნულ პარკში მიმავალ ტურისტებს. საოჯახო სასტუმროებია სოფ. ნუნისში, რითაც ზაფხულობით ნუნისში სამკურნალოდ ჩამოსული ტურისტები სარგებლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გამურთავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ხარაგაულის მიმდინარე ეტაპზე არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად.
მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურეობის ობიექტები (კაფე/ბარები, სასტუმროები და კვების ობიექტები) არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელი არ არის. პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ზონის, გასართობ-გამაჯანსაღებელი სივრცის არ არსებობა, ამასთან შემოსულ სტუმრებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ თავისუფალი მოსასვენებელი სივრცით, და სველი წერტილებით. ტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდეციებზე დაყრდნობით, მომდევნო წლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების პარალელურად მოსალოდნელია ტურისტების ნაკადის ზრდა, რითაც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი კიდევ უფრო თვალშისაცემი და მასშტაბური გახდება.
სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 97 მეფუტკრით. ფერმერული მეურნეობების ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არიან, როგორც საწარმოები. 2023 წლის პირველ იანვრამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები გათავისუფლებული არიან



ااااااا ااااااااااا ااااا ااااااااااا ااا 13 780 აა

დასაბეგრი შემოსავლიდან, აღნიშნული არ ავალდებულებთ, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებს რეგისტრაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას.

მუნიციპალიტეტის სასოსფლო სამეურნეო სავარგულების მთლიანი რაოდენობა შეადგენს 13780 ჰა-ს, რაც მთლიანი ფართობის დაახლოებით 15%-ია (სულ 91 390 ჰა). აქედან მოსახლეობის კერძო საკუთრებაშია 47% (6 421 ჰა). კატეგორიების მიხედვით მიწები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: სახნავი 4 512 ჰა, მრავალწლიანი 1 438 ჰა, სათიბი 547 ჰა და საძოვარი 7 287ჰა (იხ. დიაგრამა N2.1)

გრაფიკი N3 - სასოფლო სამეურნეო მიწების განაწილება კატეგორიების მიხედვით.

2018 წლისათვის გამოყენებული იქნა სახნავი მიწების 75%, მუნიციპალიტეტის მიწის რესურსების ფონზე გამოუყენებელი 346 ჰა სახნავი მიწა მნიშვნელოვანი ციფრია (იხ. დიაგრამა N 2.2). მიწის დაუმუშავებლობა ძირითადად გამოწვეულია მცირე ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის პრობლემით და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით.

გრაფიკი N4 - სახნავი მიწების გამოყენება 2018 წლის მდგომარეობით



2018 წელს მუნიციპალიტეტში გამოყენებულ ფართობებზე წარმოებული იქნა: სიმინდი 7 134 ტონა, ლობიო 140ტ, კარტოფილი 500 და ბოსტნეული კულტურები 655 ტონა.

მრავალწლიანი ფართობები კულტურებისმიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ვენახი 562 ჰა, კურკოვან თესლოვანი ხილი 354 ჰა, კაკლოვანი კულტურები 360 ჰა, სუბტროპიკული ხურმა 132 ჰა და კენკროვანი (მარწყვი, ჟოლო) 14 ჰა.

მოსავლიანობამ 2018 წელს შეადგინა: ყურძენი 337 ტ, ხილი 321 ტ, კაკლოვანი კულტურები 280 ტ ხურმა 565 ტპონა და კენკრა 12,6 ტონა

დატვირთული ფართობების რაოდენობიდან გამომდინარე მიღებული მოსავლიანობა არსებულ ნორმებზე შედარებით დაბალია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალშენ თხილის ფართობებს, რომლებიც ჯერ სრულ მსხმოიარობაში არ არიან შესული, ჩანს რომ აგრარულ სექტორში სერიოზული ხარვეზები არსებობს. ასევე სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგროტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა და დარგის სპეციალისტების სიმცირე, მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალი დაავადებებების და მავნებლების გავრცელება.

მესაქონლეობა - მუნიციპალიტეტეში არსებული პირუტყვის მთლიანი რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 18800-ს (მსხვილფეხა პირუტყვი 6 300, ღორი 4 500, 1100 თხა ცხვარი). მესაქონლეობით დაკავებულია 34 ფერმერული მეურნეობა, რომელთა ძირითადი ნაწილი ახდენს ყველის რეალიზაციას (32 ფერმერი) და წლიურად აწარმოებენ 22.3 ტ ყველს. მეხორცეულ მეურნეობაში ჩაბმულია 2 ფერმერი რომელთა წლიური წარმოება შეადგენს 2 ტონა ხორცს. მეცხოველეობის სხვა მიმართულებები საწარმოო მნიშვნელობით არ გამოიყენება

მეფუტკრეობა - მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალ შემოსავლიანი დარგია. ბოლო წლების სტატისტიკა მეტყველებს, რომ ფუტკრის მოშენებით დაინტერესებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. 2013 წელთან

შედარებით 2018 წლისათვის სკების რაოდენობა მუნიციპალიტეტში 21%-ით გაიზარდა და 7 063-ის ნაცვლად შეადგინა 9 967 სკა. მუნიციპალიტეტის საუცხოო ბუნებრივი და კლიმატური პირობები და მრავალფეროვანი ფლორა მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ამ დარგის განვითარებისათვის. აქ იგულისხმება თაფლოვანი მცენარეების სიმრავლე და მრავალფეროვნება (აკაცია, წაბლი, ცაცხვი და სხვა). ყოველივე ეს არის საფუძველი ვაწარმოოთ ორგანოლეპტიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უმაღლესი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა რამდენიმე სახის თაფლი. მუნიციპალიტეტის ფარგლებშიც კი შესაძლებელია ფუტკრის მომთაბარეობა, რაც თაფლის მოსავლიანობას რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ზრდის.

დღეის მდგომარეობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეთა უმრავლესობა აწარმოებს მხოლოდ თაფლს. სათანადო სწავლების შემთხვევაში თაფლის გარდა შესაძლებელია სხვა პროდუქტების წარმოება, როგორიცაა: დინდგელი, ფუტკრის შხამი, დედის რძე და ყვავილის მტვერი, რომლებიც გაცილებით ძვირადღირებული პროდუქტებია.

ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს მეფუტკრეთა გაერთიანებების და გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბება და ერთობლივი მუშაობით ამ პრობლემების მოგვარება.ხარაგაულის კლიმატური პირობები და ლანდშაფტი უზრუნველყოფს თაფლის უნიკალურობას, თუმცა პროდუქციის რეალიზება გარკვეული დაბრკოლებებით ხდება, ამასთან ადგილი აქვს ფალსიფიკაციას, რაც ბაზარზე მომხმარებელთა უნდობლობას და ფასის დაწევას იწვევს. ასევე მუნიციპალიტეტში დარგის ვეტერინარის არ არსებობა ართულებს დაავადებებთან ბრძოლას და იწვევს სავალალო შედეგებს.
მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება ხილის, თხილის, ხორცისა და ყველის წარმოებას. თუმცა, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი რაოდენობა გაცილებით მწირია მოთხოვნასთან შედარებით და წარმოებული პროდუქცია ვერ აბალანსებს მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ხდება პროდუქციის გარედან შემოტანა. მუნიციპალიტეტში საექსპორტო პროდუქციის დინამიკა წინა წლებთან შედარებით ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. აღსანიშნავია კენკროვანი კულტურების ექსპორტის ზრდა, თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა.

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების თანახმად ხარაგაულში 2018 წელს პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა 7.3 მილიონი ლარი რაც თითქმის იგივეა რაც წინა წლის მაჩვენებელი, რაც რეგიონის იმავე მაჩვენებლის მხოლოდ 0,5%-ია.

კერძო სექტორის ბრუნვა მუნიციპალიტეტში 2018 წელს იყო 13,3 მილიონი ლარი.ის წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია თითქმის 50 %-ით, თუმცა რეგიონში ბრუნვის მხოლოდ 1%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი N 2.3).

ცხრილი N 2 - ბიზნესსექტორისძირითადიეკონომიკურიმაჩვენებლები (2019)

ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2018)	ერთეული	მონაცემი
პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	7,2
ბრუნვა	მლნ. ლარი	8,9
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	708,0
დაქირავებულთასაშუალოწლიურირაოდენობა	კაცი	635,0
;აქირავებულთასაშუალოთვიურიშრომისანაზღაურება	ლარი	124,9
დამატებული ღირებულება	მლნ. ლარი	1,8
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	მლნ. ლარი	0,1

ზოგადი ეკონომიკური მონაცემების თანახმად ხარაგაულში დასაქმებულთა რაოდენობა მომატებულია წინა წელთან შედარებით. ძალიან დაბალია ბიზნესში დაქირავებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება 124.9 ლარი, რომელიც ქვეყნის საშუალო შრომის ანაზღაურების 25%-ია.

მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ბალნეოლოგიური კურორტი ნუნისი, მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო საკუთრებაში მრავლად არსებული თავისუფალი მიწა (320 ჰა) და შენობა ნაგებობა(35 ერთეული) სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები

ბიზნესის ფოკუს-ჯგუფთან სამუშაო შეხვედრამ აჩვენა, რომ ხარაგაული მუნიციპალიტეტში ბიზნეს კომპანიები აქტიურად არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ შორის კავშირი მხოლოდ პირადი ურთიერთობებით შემოიფარგლება. მუნიციპალურ ხელისუფლებას არ გააჩნია ეფექტური ინტრუმენტები ან კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომ ხელი შეუწყონ ან შეინარჩუნონ უწყვეტი საჯარო-კერძო დიალოგი სოციალურ-ეკონომიკური განვიტარების საკითხებზე. ჯერჯერობით არ არსებობს ადგილობრივი ხელისფუფლების მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ან ინდივიდუალური მეწარმეებისთვის შეთავაზებული მუდმივი მომსახურეობა იმისთვის, რომ ამ მეწარმეებმა შეინარჩუნონ თავიანთი საქმიანობა, განახორციელონ ან მართონ საკუთარი ბიზნესი, შეასრულონ იურიდიული, ფინანსური, საგადასახადო ან სხვა ვალდებულებები.

მუნიციპალიტეტის აგროწარმოებისა და სავაჭრო სექტორში არსებულ ბიზნესებს ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი გამოწვევების შესახებ ინფორმაციებით, რაც სტიმულს მისცემდა მეწარმეებს მოეხდინათ წარმოების მოდერნიზაცია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ახალ ბაზრებზე შესვლა. არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ლაბორატორიული კვლევა, რომელიც ფერმერებისათვის იქნებოდა გზამკვლევი/სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესაბამისი კულტურების განაშენიანებით მეტი ეფექტიანობის მიღებაში.

მუნიციპალიტეტში არსებობს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარაგაულის სამმართველო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციოსაკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ ფერმერებთან პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო სახის შეხვედრებს და ასევე ფერმერებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უწევენ. ადგილობრივი ეკონომიკის და სხვა დარგის წარმომადგენლებისათვის მსგავსი ტიპის შეხვედრები არ იმართება.

მუნიციპალიტეტში 4 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს. რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორისარსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. ხშირია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კონკრეტული შესაძლო დაფინანსების წყაროებზე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა კერძო სექტორი მხოლოდ მსმენელის როლში გამოდის და სათანადო შედეგები არ დგება.

ბიზნეს სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან შეხვედრებისას მერი თავის გამოსვლებში მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს შუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას.

თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეგობრულ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაარღვევს ბიზნესის არსებულ კარჩაკატილობას და ერთობლივი ქმედებებით ხელს შეუწყობს ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდას.

ცხრილი N3. ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება

დასახელება ან/და ფუნქცია (სამუშაო სფერო/ თემატიკა)	*ინსტიტუციები/ მონაწილე პირები*	*მიღწევები ასევე მიუთითეთ თუ როგორ მუშაობს - მაგ: "გეგმავს", ახორციელებს პროექტებს, უზრუნველყოფს სერვისებს, მუდმივი ან საჭიროებისამებრ/შემთხვევითი*	*შეფასება: ან სასარგებლო უსარგებლო*
სამოქალაქო და კერძო სექტორის თაამშრომლობა	*სამოქალაქო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერია, კერძო სექტორი*	სამოქალაქო სექტორი ახდენს სხვად თემებზე ტრენინგების ჩატარებას. პ აქვს არასისტემური ხასიათი, უმეტე ხორციელდება შეხვედრების დაგეგმ შერჩევა წინასწარი კვლევების გარეშ შეხვედრებში შემთხვევითი პირების	ასხვა*სასარგებლო* ოექტებს ად ვა და თემის ე და ჩართვა

აგროსექტორის თანამშრომლობა	*გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრი, აგროსექტორის წარმომადგენლები*	თანამშრომლობა გარკვეულ წილად ჩამოყალიბებულია, შექმნილია კოოპერატივებიც, თანამშრომლობას უფრო სპეციალური ხასიათი აქვს, საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის და სარგებლის მიღების მიზნით . საკონსულტაციო ცენტრი დროდადრო ხვდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს და გასცემს და აგროვებს ინფორმაციას მიმდინარე პროექტებზე და პროექტებში ჩართულობაზე	*სასარგებლო*

6.3. ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის„ პრინციპით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია ახდენს ინფორმაციის პრაქტიკულად გამოქვეყნებას. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ბიზნეს სექტორთან ურთიერთობს მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციასა და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს, უმეტეს შემთხვევაში უძნელდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობები სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული კონკრეტულ სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორცილედება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი, მერიის ვებ გვერდი და საინფორმაციო ცენტრი რომლებიც აქტიურად აშუქებს ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას, მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტორების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.

ცხრილი N4. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) დამათი გამოწვევები

(მზარდი) სექტორი (ქვესექტორი)	*მთავარი გამოწვევები, რომელთა გადაჭრისათვის საჭიროა ბიზნესის დახმარება*
სექტორი (ქვესექტორი) 1 *ტურიზმი*	მუნიციპალიტეტის შესახებ ნაკლები ცნობადობა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე, ინვესტიციების სიმცირე, არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე ინფორმაციის სიმწირე, დარგში არასაკმარისი ცნობიერების დონე
სექტორი (ქვესექტორი) 2 *სოფლის მეურნეობა*	მცირე მოცულობის ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში; არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობებზე, აგრო ტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, დარგში ცნობიერების დაბალი დონე, პროფესიული კადრების ვეტერინარებისა და აგრონომების სიმწირე
სექტორი (ქვესექტორი) 3 *ბიზნეს საქმიანობა*	ბიზნესის საჭირო უნარების ნაკლებობა, ინვესტიციების სიმცირე, ფინანსური რესურსების სიმცირე, საწარმო ფართებზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეზღუდული ფინანსური რესურსები და გამოცდილება აქვთ იმისთვის, რათა განახორციელონ ინოვაციური ქმედებები ან მიდგომები ბიზნესის განვითარების სტიმულირებისათვის, რაც კარგად იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კონტექსტზე და უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას. მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების არსებობისა და მათ ვებ გვერდზე გამოქვეყნებისა განთავსებული მონაცემები არ არის საკმარის და საჭიროებს დაზუსტებებს. ამასთან მუნიციპალიტეტში მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, რომლებიც სრულყოფილად ვერ ახდენენ სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელი პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირებას და დაინტერესებას. სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები ბიუროკრატიულია, ხშირ შემთხვევაში დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განხორციელოს დაწყებული საქმე. ამასთან, ბიზნეს კომპანიების უმეტესობას ინტერნეტ რესურსებთან წვდომა არ აქვთ და საჭიროებენ ინფორმაციის დეალოგის რეჟიმში მიწოდებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის ახლოს არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის 20 000 (7500 ევრომდე) ლარამდე ყოველგვარი გირაოს გარეშე. მოთხოვნა მეტი ოდენობის სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან მსხვილი სესხების გაცემა განიხილება ბანკების რეგიონალურ და სათაო ოფისებში. ბანკები სესხებს გასცემენ როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. ბიზნეს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ბანკები სესხებს არ გასცემენ სტარტაპერებისთვის , ბიზნეს კომპანიებს უნდა ქონდეთ მინიმუმ 6 თვიანი ბრუნვა.

გარდა საბანკო სექტორისა, დამწყები და არსებული ბიზნესისათვის არსებობს ფინანსებზე წვდომის სხვადასხვა შესაძლებლობები (იხ.ცხრილი 5) რომელთა შორისაა სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში, ეკონომიკის სამინისტროს პროგრამა ,,აწარმოე საქართველო“, ,,შეღავათიანი აგროკრედიტი“, საერთაშორისო ორგანიზაცია USAD-ის პროექტი ,,ზრდა“.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის და ინოვაციური მეწარმეობის დარგში არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამების, რომლის ფარგლებშიც დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება, თუმცა ბიზნეს გეგმების შემუშავებაში ცოდნისა და გამოცდილების არ ქონის გამო დაფინანსებას ვერ ღებულობენ.

ცხრილი 5. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ინსტიტუტი/დონორი ორგანიზაცია (მათ შორის, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები)	შესაძლო ბენეფიციარები (კლიენტები/ბენეფიციარები	სასურველი ეკონომიკური სექტორები/საქმიანობები	მინიმალური და მაქს. თანხები რომლებიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი (ევრო)	მოთხოვნები (უზრუნველყოფა, თანამონაწილეობა)
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (,,აწარმოე საქართველოში“	ბიზნესმენები; ფერმერები	სოფლის მეურნეობა; მრეწველობა; სასტუმროს ინდუსტრია	3300-1700000	მოეთხოვება უზრუნველყოფა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა ,,შეღავათიანი აგროკრედიტი“	ბიზნესმენი; ფერმერი	სოფლის მეურნეობა	6700-500000	მოეთხოვება უზრუნველყოფა
სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა ,,დანერგე მომავალი“	ბიზნესმენები; ფერმერები	სოფლის მეურნეობა	3300-33300	მოეთხოვება თანამონაწილეობა
TBC ბანკის აგრო საინვესტიციო სესხი	ფერმერები	სოფლის მეურნეობა	6700-100000	მოეთხოვება უზრუნველყოფა
ლიბერთი ბანკის აგროსესხი	ფერმერები	სოფლის მეურნეობა	33-33300	მოეთხოვება უზრუნველყოფა
ფინკა ბანკი საქართველოს ექსპრეს აგროსესხი	ფერმერები	სოფლის მეურნეობა	1000-20000	მოეთხოვება უზრუნველყოფა

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბარის ზონაში რეგისტრირებულია 250 ჰა სახნავ-სათესი მიწა, 2 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა და 28 ერთეული შენობანაგებობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ქონებებიც (43 ერთეული შენობა-ნაგებობა და 94 ჰა მიწა), დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე. სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას მაღალ, შეუსაბამო საპრივატიზებო ფასს ადებს, რის გამოც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ მიერ ქონების გასხვისება არ განხორციელებულა. მოთხოვნა ძირითადად მიკროკომპანიებისთვის შესაფერის და იზოლირებულ სავაჭრო- სამუშაო სივრცეებზე არის, საერთო საზიარო ობიექტების გარეშე. მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გაცემულია იჯარით (17ობიექტი), მაგრამ მოთხოვნა უფრო დიდია. საოფისე ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია განლაგებული, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს

არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები. მუნიციპალიტეტი გეგმავს შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც გათვლილი იქნება კერძო ბიზნესის მოთხოვნებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და სახელმწიფო ქონებები ძირითადად ამორტიზირებულია, ამასთან უმეტესი ნაწილს არასტრატეგიული მდებარეობა აქვს საოფისე, სავაჭრო ფართებისთვის.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს საინვესტიციო მონაცემების ბაზის შექმნას, სადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებთან და წინადადებებთან ერთად განთავსებულის იქნება კერძო სექტორის საინვესტიციო წინადადებები. ამასთან აუცილებლობას წარმოადგენს მცირე საწარმო-საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტი მცირემიწიანია და არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დაბალ მოსავლიანია ზოგიერთი კულტურისთვის. აგროსექტორის განვითარებისა, მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

ცხრილი N6. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში

კერძო სექტორის მიერ დასახელებული საჭიროებები ინფრასტრუქტურის ტიპის მიხედვით	არსებული მიწოდება ამ სეგმენტში	შესაძლო სამომავლო მოთხოვნები (6 წლის განმავლობაში)
საოფისე ფართების გამოყოფა	*საწილობრივ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულია კერძო სექტორისთვის ფართები*	*გაზდილია მოთხოვნა საოფისე ფართების გაცემაზე*
ბიზნესისასთვის საერთო სივრცის შექმნა	*ბიზნესისათვის საზიარო და ინდივიდუალური ფართები არ არსებობს*	*საზიარო ფართზე, საერთო სივრცეზე მოთხოვნის ზრდა*

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო: მნიშვნელოვანი საკითხია კერძო სექტორმა შეძლოს ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო დამხარების მიღება მუნიციპალიტეტში, ასევე, მეწარმეებს ჰქონდეთ შეგრძნება, რომ მათი საჭიროებები გათვალისწინებული და განხილული იქნება მიუკერძოებლად და ობიექტურად, რითაც ხელი შეეწყობა მუნიციპალოტეტის მზაობას, გამოხატოს ბიზნესისადმი მეგობრული დამოკიდებულება და მოქმედებდეს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია ჯერ კიდევ არსებობს რიგი რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ყველაზე დიდი პრობლემაა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა პროცედურის გავლა. ამ სფეროში არარსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის და სხვადასხვა უწყება ითხოვს ერთიდაიგივე ინფორმაციის წარდგენას. თითოეულ ცალკეულ დამტკიცებას დროს ჭირდება და მშენებლობის ნებართვაზე განაცხადების განხილვა არ ხდება ერთდროულად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ, მომდევნო

უწყება ელოდება წინა უწყების განხილვის შედეგს. ამასთან, გარკვეული დაბრკოლებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა.

ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის განაკვეთს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობა. ასევე, მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამი სახის ადგილობრივი მოსაკრებელი არსებობს, ესენია: დასუფთავების, მშენებლობის ნებართვის და სათამაშო ბიზნესის.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების წინაპირობაა, ამავე დროს ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისების უზრუნველყოფით. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არ არსებობს გადამზადების სასწავლო ცენტრები, პროგრამები, განსაკუთრებით, ბიზნეს უნარ-ჩვევებში, ვიწრო სპეციალობებში, არ არსებობს დასაქმების უნარების შეძენის საგანმანათლებლო რესურსი. ტურიზმის განვითარება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია, თუმცა ამ კუთხით კვალფიციური კადრების დეფიციტია. დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ასევე, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მწვავე საკითხად დგას მიგრაციის (გარე და შიდა) პროცესი, ადამიანური რესურსების გადინება მუნციპალიტეტის ტერიტორიიდან, ამავე, დროს, არასაკმარისია სათანადო პროფესიული განათლების მქონე ადგილობრივი სამუშაო ძალა იმ ადგილების შესავსებად, რომლებსაც პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. უმუშევართა დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს ადამიანური რეურსების შესაძლებლობის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების შრომის ბაზარზე, მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე, დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოთხოვნადი პროფესიის კადრების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება, უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის სრულფასოვან ჩართულობას ინკლუზიურ ზრდაში და შეჩერდება კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტიდან.

ცხრილი N7. უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული მდგომარეობა

სექტორი	უნარ–ჩვევების კუთხით არსებული მდგომარეობა (მაგ. , მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა)	სავარაუდო სამომავლო მდგომარეობა (მაგ. , მნიშვნელოვანი/მცირე ნაკლებობა/შეუსაბამობა/ ჭარბი მოთხოვნა)	ქმედების შესაძლო მიმართულებები
სოფლის მეურნეობა	უნარ–ჩვევების კუთხით არსებული მდგომარეობა შეუსაბამოა, საჭიროა მეტი მოტივაცია სიახლეების მიღებასა და ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით.	ფერმერების გადამზადება.	კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება.
ტურიზმი, სასტუმროები, რესტორნები, კვება	მეტი მოტივაცია სიახლეების მიღებასა და ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით, კადრების გადამზადება,	მეტი მენეჯერების, მზარეულების, გიდების გადამზადება.	კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აქვს პერსპექტივა გადაიქცეს მიმზიდველ ადგილად საცხოვრებლად, სამუშაოდ, ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა ფიზიკური და ბუნებრივი გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ქვეყნის მასშტაბით დაკავებული სტრატეგიული მდებარეობაა, რაც გამოიხატება რომ აქ გადის ქვეყნის ძირითადი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები.

უკვე ათეულობით წელია სრული დატვირთვით მუშაობს ბალნეოლოგიური კურორტი ,,სამთა ნუნისი'', რომელიც შედის ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში. სამკურნალო წყლით დაინტერესებული ადამიანების სიმრავლის პარალელურად სოფ. ნუნისში მოსახლეობამ თავიანთი საცხოვრებელი სახლები გადააკეთეს საოჯახო სასტუმროებად, სადაც, ძირითადად ზაფხულის განმავლობაში, ტურისტების ნაკადი არ წყდება. ნუნისიდან 3 კილომეტრში მდებარეობს ე.წ. ,,ბერების გამოქვაბული',' რომელიც ასევე საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით.

მუნიციპალიტეტში ახალი საოჯახო სასტუმროების გახსნასთან ერთად, შეიქმნა საფეხმავლო ბილიკები, უფრო მრავალფეროვანი გახდა მუნიციპალური კულტურული

ღონისძიებების პროგრამა, რამაც განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი მუშაობს მუნიციპალიტეტის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით და მონაწილეობს ტურიზმის რეკლამირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

მიუხედავად ზემოთხსენებული დადებითი მხარეებისა, სამუშაო ადგილების სიმცირე უარყოფით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობაზე. ინტერნეტ რესურსები ნაკლებადაა გამოყენებული მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას არ გააჩნია მარკეტინგული სტრატეგია მუნიციპალიტეტის ტურისტული და საინვესტიციო თვალსაზრისით პოპულარიზაციის გასაზრდელად.

გარე პოზიციონირებისა და მარკეტინგის, ზოგადად ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებია: საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არ ქონა, ადგილობრივი პროდუქციისა და სერვისის არასაკმარისი ცნობადობა, ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასათანადო სავაჭრო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები. ამ მიმართულებით გამოუყენებელია ქართული დიასპორის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს, როგორც ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის, ისე მათი მიმღები ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან ეკონომიკური კავშირების დამყარების, მუნიციპალიტეტების დაძმობილების ხელშეწყობის და სხვ. გზით.

7.მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მდიდარი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები; ტურიზმის განვითარების • პერსპექტივაზომიერი კლიმატი, ბუნებრივი გარემო, სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების მრავალფეროვნება; მნიშვნელოვანი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები: უბისა, • ჩხერის ციხე, რკინის ჯვარი, დევის ხვრელი; საფეხმავლო, საცხენოსნო, სარკინიგზო, კულტურულ-საგანმანათლებლო, • მომლოცველობითი და სათავგადასავლო-	• შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც იწვევს სამუშაო ძალის გადინებას • მუნიციპალიტეტიდან; კომერციული • კრედიტების სიძვირე და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა; ფართოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის • არ არსებობა საინვესტიციო შესაძლებლობებზე; მუნიციპალიტეტის ტურისტული • პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია; ტურისტული მომსახურეობის დაბალი დონე ფაქტობრივი • უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები • და დასაქმების მწირი შესაძლებლობები ადგილობრივი

- აღმოჩენითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; სოფლის მეურნეობის - ზრდის ტენდენცია, აგროტურიზმის განვითარებისათვის სათანანადო რესურსი არსებობა; - მუნიციპალიტეტისათვის 8 სოფლისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება და მათზე გავრცელებული საგადასახადო და - სოციალური შეღავათები; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სრული მზაობა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის;	- მოსახლეობისათვის, შრომისუნარიანი - კადრების მიგრაცია; არასაკმარისი მუნიციპალური სერვისები; - ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები; სუსტი კომუნიკაცია კერძო და საჯარო - სექტორებს შორის, კერძო სექტორის დაბალი - დაინტერესების გამო; სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე; მეცხოველეობის დარგში დაბალ პროდუქტიულობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
- სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშემწყობი პროგრამები სოფლის მეურნეობის - დარგში; მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები; - ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია; - მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მზრადი მოთხოვნა; - ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და ბიზნესის დაწყების სიიოლე;	- გარემოს დაბინძურების რისკები; - სტიქიური მოვლენები; - შრომისუნარიანი და პროდუქტული მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე; - სოფლის მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები (ფაროსანა) და მცენარეტა/პირუტყვთა დაავადებები; - იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე დაბალი ფასი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის SWOT ანალიზი შემუშავდა ადგილობრივი პარტნიორობის აქტიური ჩართულობით გეგმის სამუშაო ჯგუფის მიერ. ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზი, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც მოიცავს მთლიან ადგილობრივ არეალს და აღნიშნულით გამოვლენილ იქნა ეკონომიკის მამოძრავებლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკას და გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ საერთო ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების დროს. ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული გეგმის ღონისძიებები მიმართულია ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარებისკენ. მუნიციპალიტეტს ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ხელი შეუწყოს ტურისტების ზრდის ტენდეციას, ინვესტორების დაინტერესებასა და მოზიდვას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტს გააჩნია იმის რესურსი, რომ ძლიერი მხარისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით აღმოფხვრას ის სუსტი მხარეები, რაც ძირითადად მოიცავს: უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს, კომერციული კრედიტების სიძვირეს, ინვესტიციების დაბალ მაჩვენებელს, ტურისტული პოტენციალის არასაკმარისობასა და ცნობადობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საქართველოს სატრანსპორტო და სარკინოგზო მაგისტრალთან სიახლოვე, მცირე და საშუალო მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები და პროექტები, მსოფლიოში და ქვეყანაში ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია, ქვეყნის საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკა, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სუსტი მხარეების დასაძლევად. მუნიციპალიტეტისა ადგილობრივი ეკონომიკური აქტიორების ერთობლივი ქმედებები აუცილებელია მიმართული იქნას ისეთი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ადგილობრივი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით მოახდენენ სუსტი მხარეების დაძლევას, გათვალისწინებული იქნება გარე ფაქტორები და საფრთხეები.

ქმედებები მიმართული უნდა იყოს იმ ძირითადი გამოწვევების დასაძლევად რომელიც სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

- მნიშვნელოვანი ფართობის აუთვისებელი ტერიტორიები/მიწები და შენობანაგებობები;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- ფერმერული მეურნეობების განვითარების დაბალი დონე (ფერმერების უმრავლესობა იღწვის საარსებო ან ნახევრადკომერციული ბიზნესის შესანარჩუნებლად);
- დასაქმების შესაძლებლობათა სიმწირე;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- მცირე მოცულობის ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში;
- მუნიციპალიტეტის ცნობადობის ნაკლებობა და საერთაშორისო პარტნიორების სიმცირე;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე;
- ადგილობრივი კერძო სექტორის პასიურობა საჯარო სექტორთან დიალოგსა და ურთიერთობებში.

მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანი: თუ რისი მიღწევა სურს ადგილობრივად ზრდის, განვითარებისა და დასაქმების თვალსაზრისით და გეგმის განხორციელების შედეგად, მიიღწევა იმის აღწერით, თუ როგორ ეკონომიკურ მომავალს ისურვებდნენ დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისათვის. სწორედ ამ ხედვის საფუძველზე გაიწერა გეგმის მიზნები, ღონისძიებები და განსახორციელებელი პროექტები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით შემუშავებულ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები.

8.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული ხედვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და დივერსიფიცირებული ეკონომიკით მიმზიდველი ადგილია სტუმრობის, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად.

სტრატეგიული მიზნები:

- **მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება;**
- **ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურისტული პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა;**
- **სამეწარმეო გარემოს განვითარება, აგროწარმოების და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია;**

ცხრილი N8. სამოქმედო გეგმა

...ტური ...ოექტები	მთავარი მიზნები	ქმედება	მიმდინარეობა (დაწყება/ დასრულება)	მოსალოდნელი პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნული ვალუტაში (ეროვნული ვალუტა)	მიმართულების მაჩვენებელი / შედეგის ინდიკატორები (Output (Product) Indicators and targets)	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Result) Indicators and targets)
...ბრიგადიტეტებ...ა ...ბიზნესტუალ...ებლი: ...ბაზა და ...ინფრასტრუქტუ...ა; ...ადამიანური ...ელმისაწვდომ...ობა; ...ადგილობრივი ...ოდუქციის და ...ბ...ტალეტა	...ბლუნიციპა...ლიტეტ...ს ...ინ...ალ...ის ...ა...ალ...ა	1.1 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ტურისტული ობიექტად ...	01.03.2020 01.07.2020	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, ხარაგაულის საერთაშორისო ტურისტული ინფორმაციული ცენტრი	70000 ლარი 24583 ევრო	მიმდინარეობა ...	...ურისტებისა და ვიზიტორებისთვის ... ...ბ...ალ...ა ...ა...ა ...ა...ა ...ა...ა, ...ურისტებთან დამეგობრებული ... ...ბ...ალ...ა ...ა...ა ...ა...ა ...ა

		ელექტრონული ბიბლიოთეკა		ადგილობრივი ტელევიზია			
	2.ოლიმპიადა ეფექტიანი ინფორმაციის გავრცელების და ელექტრონული მიტანილობის ზრდის ხელშეწყობა	2.1 ტურნირის ტექნიკური ინფრასტრუქტურა ინფორმაციული ინოვაციების ბიბლიოთეკა	2020-2022	1 ხარჯთაღრიცხვა ტურნირამდე, საქართველოს ოლიმპიადა ფინალისტების ჯილდოებისა და ინფორმაციული ინოვაციების ხანმოკლე	2000000ლარი 645161 დოლარი	1 ბიბლიოთეკა ელექტრონული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ადგილები, ტრენინგოლოგია, ლაბორატორია და ტურნირული ინფორმაციული ბიბლიოთეკა ელექტრონული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა ტურნირული ინფორმაციის ფასადები	შექმნილია ოლიმპიადებისათვის მიმზიდველი ინფორმაციული ინოვაციები, ფიზიკოსებისა ტრენინგების და წესი, ეხმარებიდანადგენილია ტურნირული ინ/ბიბლიო.
		2.2.ბიბლიოთეკის ტურნირის ლიტერატურის ინფორმაციული ინოვაციების ტურნირული ბიბლიოთეკის ტექნიკური ინფორმაციის ინფორმაციული	2020-2021	ხარჯთაღრიცხვა ტურნირამდე: საქართველოს ოლიმპიადის ფინალისტების ჯილდოებისა ინფორმაციული ხანმოკლე	11 000 ლარი 3700 ლარი	ბიბლიოთეკა და ინფორმაციული ტურნირამდე ბიბლიოთეკის ტექნიკური ინფორმაციული ბიბლიოთეკა ინფორმაციული ბიბლიოთეკა ტურნირული ბიბლიოთეკა	ბიბლიოთეკა ინფორმაციული ტექნოლოგიები ფიზიკოსებისა ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკ

აააააააააააა	ააააა ააააა აა ااااا ااااا	ااااااااااااا ااااا				ااااا ااااااااا ااااا	ااااااااااا
		ااااااااا ااا اااااااا	ااااااا ااااا ااااااا	ااااااا	ااااااااا		
1.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა	000 ლარი ევრო	000 ლარი ევრო					
2.ხარაგაულში წარმოებული პროდუქციის ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	000 ლარი 482 ევრო	60000ლარი ევრო		20000ლარი 6800ევრო	20000ლარი 6800ევრო		

2.1. 1.ტურისტებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა		ლარი ევრო	300000ლარი ევრო			300000ლარი ევრო	1400000ლარ ევრო		
		ობი ღონისძიებების გატარება.				საინფორმაციო და სარეკლამო მასალები,ბუკლეტები.			
		3.3 საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის შექმნა		ხარაგაულის მუნიციპალიტეტი; ბიზნეს სექტორი	25 000 ლარი; 7500 ევრო	**მყისიერი შედეგი:** 1.გახსნილია საინფორმაციო/საკონსულტანციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ დამწყებ და არსებულ ბიზნეს უწევს კონსულტანციას ახალი ბიზნესის ან არსებული ბიზნესის გაფართოებისათვის. 2.დაგეგმილია მრგვალი მაგიდების და დისკუსიების ორგანიზება.	**საბოლოოს შედეგი:** ინფორმირებულია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე. 2 გაზრდილია ინვესტიციების მოცულობა. **ს/შ ინდიკატორი:** 1 ინფორმირებული ბიზნესმენების რაოდენობა; 2.ბიზნეს კონსულტანტების რაოდენობა.		

ცხრილი 9. დაფინანსების სქემა.

ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

2.2. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული პოტენციალის მქონე ღირსშესანიშნაობების ინვენტარიზაცია	11 000 ლარი 3700 ევრო	4000ლარი 1290ევრო			7000ლარი 2300ევრო		
3.1.სტარტაპებისა და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმო-საოფისე ფართების ხელმისაწვდომობის ზრდით	65000 ლარი 21000 ევრო	65000 ლარი 21000 ევრო					
3.2. ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.	30000ლარი 10300 ევრო	10000ლარი 3225ევრო			20000ლარი 6415ევრო		
3.3. საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის შექმნა	25 000 ლარი; 7500 ევრო	25 000 ლარი; 7500 ევრო					
ჯამი	2291000 ლარი; 741843 ევრო	524000ლარი 167689ევრო		320000ლარი 103574ევრო	1447000ლარი 467176ევრო		

გეგმის წარმატებით განხორციელების მიზნით შეიქმნება მონიტორინგის მექანიზმი, რომლის ფუნქციონირებასაც კოორდინაციას გაუწევს ეკონომიკური განვითარების ოფიცერი. ასევე,ადგილობრივი კერძო-საჯარო პარტნიორობის წარმომადგენლების მიერ შეიქმნება მონიტორინგის კომიტეტი, ეკონომიკური განვითარების ოფიცრის ხელმძღვანელობით. გეგმაში გაწერილ საქმიანობებზე პასუხისმგებელი პირები (ძირითადად მუნიციპალიტეტის თანამშრომლები) კვარტალში ერთხელ ოფიცერს წარუდგენენ საკუთარ ანგარიშს. თავის მხრივ, ოფიცერი მოამზადებს საერთო ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს პირველ რიგში მონიტორინგის კომიტეტს და საბოლოოდ ადგილობრივ პარტნიორობას. პარტნიორობა შეაფასებს მიღწეულ პროგრესს და გარკვეული დაბრკოლებების, გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს. მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით შემუშავებული და გამოყენებული იქნება სპეციალური ფორმა, რომელშიც ნათლად გამოჩნდება მიმდინარე პროგრესი გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების, ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. 6 თვეში ერთხელ, მუნიციპალიტეტი გაწეული საქმიანობების ანგარიშს წარუდგენს „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს.

ცხრილი N10. ქმედებების შიდა მონიტორინგი სგეგმა

აააააა	*ააააააა აააა (ააااااა/ ااااااا ا)*	*ااااااا اا ااااااا اا 1-6*	*ااااااا اا ااااااا اا 7-12*	*ااااااا اا ااااااا اا 13-18*	*ااااااا اا ا ااااااا اا 19-24*

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა	2020-2021		,რიზმის ,ინფორმაციო ცე ,ობის პროექტ ,ყიდვა ტენ ,ოცხადება		პროექტი გათვალი სარემონ სამშენებ სამუშაო ინვენტარ
ყოველწლიური თემატური ფესტივალების ორგანიზება	2020-2021წ	დაგეგმილი და განხორციელებ ულია თემატური ფესტივალები	დაგეგმილი და განხორციელებ ულია თემატური ფესტივალები	დაგეგმილი და განხორციელებ ულია თემატური ფესტივალები	დაგეგმილ განხორციე თემატურ
ხარაგაულში წარმოებული პროდუქციის ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	2020-2021		მერიის შესაბამისი სამსახურების და ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით მოეწყო ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის ფესტივალი და სახალხო დღესასწაული	კერძო სექტორის პარტნიორობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შემუშავდა სამოქმედო გეგმა, დაიგეგმა განხორციელები ს ეტაპები	მოეწყო ად წარმოებუ პროდუქ და სახალ დღესასწა
ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა.	2020-2022	გამოცხადებულ ია ტენდერი შენობის რეაბილიტაციი ს მიზნით	მიმდინარეობს სამუშაოების განხორციელება	რეაბილიტირებ უ ლია შენობანაგებობა	მოწყობილ ცენტრი, შ პირებისა შესაბამის ინფრასტრ ლი ობიეტ
სკაუტური ბანაკების მოწყობა მღვიმეების მიმდებარე ტერიტორიასა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე.	2020-2022	გამოცხადებულ ია ტენდერი შენობის რეაბილიტაციი ს მიზნით	მოწესრიგებულ ია დაბანაკებისათვ ის ინფრასტრუტუ რა.	მოწყობილია სკაუტური ბანაკები	სკაუტები დაბანაკებ
ტურისტული და საინვესტიციო ობიექტების, ადგილების ინვენტარიზაცია, მონიშვნა და საინფორმაციო მასალების განთავსება გუგლ რუკაზე	2020-2021	მოძიებულია 10 ტურისტული ობიექტის შესახებ საინფორმაციოსაცნობარო მასალები და განთავსებულია გუგლ რუკაზე	მოძიებულია 15 ტურისტული ობიექტის შესახებ საინფორმაციოსაცნობარო მასალები და განთავსებულია გუგლ რუკაზე	მოძიებულია 20 ტურისტული ობიექტის შესახებ საინფორმაციოსაცნობარო მასალები და განთავსებულია გუგლ რუკაზე	მოძიებულ ტურისტუ შესახებ საინფორმ მასალები განთავსებ რუკაზე

ხარაგაული მუნიციპალიტეტის ახალი ტურისტული მიმართულებების პოტენციალის კვლევა. ასევე, ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება და მათი შეთავაზება ტურიზმის სექტორის შესაბამისი წარმომადგენლებისთ ვის.	2020-2021	შექმნილია სამუშაო ჯგუფი და დაწყებულია სხვადასხვა ტურისტული მიმართულების განვითარების პოტენციალის კვლევა.	მოკვლეულია სხვადასხვა ტურისტული მიმართულების განვითარების პოტენციალი და შემუშავებულია ახალი ტურისტული მარშუტები.	მიმდინარეობს ტურისტული შესაძლებლობებ ისა და შემუშავებული მარშრუტების პოპულარიზაცი ა და შეთავაზება ტურიზმის სექტორის შესაბამის	მოკვლეულ შეთავაზებ ტურისტუ შესაძლებ

				წარმომადგენლ ე ბისთვის.	
მარკეტინგული ღონისძიებების გატარება ტურიზმის სფეროში	2020-2021	შერჩეულია მარკეტინგული ღონისძიებების გასატარებლად სამუშაო ჯგუფი.	შექმნილია ვებგვერდი, შემუშავებულია საიმიჯო ვიდეო რგოლი, ნაბეჭდი საინფორმაციო მასალები და ინფოტურები.	მუნიციპალიტე ტმა მონაწილეობა მიიღო არა ერთ ტურისტულ გამოფენაში.	
სტარტაპერების,ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმო და სამუშაო უნარებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო (მათ შორის IT მიმართულებებში) შეხედრების ჩატარება	2020-2021	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 25 პირი	დაგეგმილია ტრენინგები ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 30პირი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 32 პირი	შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია ტრენინგები , ცნობიერება ამაღლებულია 28 პირი
ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.	2020-2021	ორგანიზებული ა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გამოფენაგაყიდვების მოწყობა.	ორგანიზებული ა მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებში.	მომზადებულია საინფორმაციო და სარეკლამო მასალები, ბუკლეტები.	მოწყობილია გამოფენაგაყიდვები. რეალიზებულია ადგილობრივი ნაწარმი.
უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალურ მონაცემთა ბაზის შექმნა	2020-2021	გამოცხადებულ ია ტენდერი უმუშევართა აღრიცხვის მუნიციპალური მონაცემების ბაზის შესყიდვის მიზნით.	აღწერილია პოტენციური დამსაქმებლები.	შეძენილია შესაბამისი ინვენტარი.	შექმნილია უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზა.

საინფორმაციო/ საკონსულტაციო ცენტრის შექმნა.	2020-2021	გამოცხადებულ ია ტენდერი საინფორმაციო/ საკონსულტ აციო ცენტრის მოსაწყობად.	გამოცხადებულ ია ტენდერი საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით	დანიშნულია შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი კადრი.	გახსნილია საინფორმაციო/ს აკო ნსტულტაციო ცენტრი, გაწეულია კონსულტაციები .
აააა ააააااა ااااااااا % (ااااااااااا)	100%	25%	25%	25%	25%